საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2651-03
31/12/2021

ნატოს პროგრამის - მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის / NATO Science for Peace and Security Programme განხორციელებული პროექტის -საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და სირთულეებთან გამკლავების შეტყობინებისა და მართვის ქსელის შექმნის / Network for Alerting and Managing Public Safety and Resilience – REACT-ფარგლებში, რომელშიც ერთ-ერთი მონაწილე მხარე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტია, სტიპენდიების მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების ვადებისა და პირობების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის პროფესორის, პროექტის ადგილობრივი ხელმძღვანელის ქეთევან კუპატაძის 2021 წლის 29 დეკემბრის N15513-35 წარდგინების საფუძველზე

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს კონკურსი ორ პოზიციაზე ნატოს პროგრამის - მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის / NATO Science for Peace and Security Programme ფარგლებში განხორციელებული პროექტის -საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და სირთულეებთან გამკლავების შეტყობინებისა და მართვის ქსელის შექმნის / Network for Alerting and Managing Public Safety and Resilience – REACT-ფარგლებში სტიპენდიის მოსაპოვებლად. სტიპენდია განსაზღვრულია 11 თვის პერიოდისათვის, რომელიც დაიწყება 2022 წლის თებერვლიდან და მისი ოდენობა თვეში შეადგენს 400 ევროს ეკვივალენტს ლარში.

2. სტიპენდიის მოპოვების მიზნით კონკურში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტანტებს, დოქტორანტებს, მაგისტრებს, დოქტორანტებს და ახალგაზრდა მკვლევარებს ეკოლოგიური კვლევების მიმართულებით, რომელთაც ჯერ არ შესრულებიათ 30 წელი. აპლიკანტს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია/გამოცდილება სენსორებთან ურთიერთობის, ერკვეოდეს ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელ აგენტებსა და მათ მიერ გამოწვეულ ზიანში. გამოქვეყნებული უნდა ქონდეს მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატია საერთაშორისო რეფერირებულ სამეცნიერო ჟურნალში და ინგლისურ ენას უნდა ფლობდეს მინიმუმ B ენობრივ დონეზე.

3. აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს:

ა) ავტობიოგრაფია(CV) თანდართული სურათით;

ბ) სამოტივაციო წერილი მოკლე აღწერით, რატომ სურს პროექტში მონაწილეობა.

4. განაცხადის მიღების პერიოდი განისაზღვროს 2022 წლის 10 იანვრიდან 20 იანვრის 18:00 საათის ჩათვლით. ამ ბრძანების მესამე პუნქტით დადგენილი დოკუმენტები გაიგზავნო უნივერსიტეტის ელექტრონულ ფოსტაზე info@iliauni.edu.ge და ასევე შემდეგ ელექტრონულ მისამართებზე: david_tarkhnishvili@iliauni.edu.ge ketevan_kupatadze@iliauni.edu.ge

5. შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება ჩატარდეს 2022 წლის 21 იანვრიდან 26 იანვრის ჩათვლით. კონკრეტული დროის შესახებ ეცნობოს აპლიკანტს პროექტის ხელმძღვანელის მიერ დამატებით ელექტრონულ ფოსტაზე.

6. სტიპენდიანტების შეჩევის მიზნით დამტკიცდეს კომისია შემდეგი შემადგენლობით:

დავით თარხნიშვილი- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს დეკანი (კომისიის თავმჯდომარე);

ქეთევან კუპატაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი, პროექტის ხელმძღვანელი;

დალი ცქიტიშვილი- უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის უფროსი;

მალხაზ ლაგურაშვილი- პროექტის "ენდ უზერ". შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს განსაკუთრებულ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სამმართველოს უფროსი, პოლკოვნიკი.

7. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს დაევალოს ამ ბრძანებით განსაზღვრული ინფორმაციის გავრცელება და ბრძანების კომისიის წევრებისათვის გაცნობა.

8. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანებით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

9. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს, ადმინისტრაციის სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს, იურიდიულ სამსახურს, რექტორის აპარატს, განვითარების სამსახურს, პროფესორ ქეთევან კუპატაძეს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს.

გიგა ზედანია

რექტორი